საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კელენჯერიძე ანტონ კირილეს ძე



ა. კელენჯერიძე

კელენჯერიძე ანტონ კირილეს ძე (26. I. 1904, ქუთაისის გუბერნია, ქუთაისის მაზრა (ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვანი) – 20. III. 1997), ჟურნალისტი, საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1976). დაამთავრა თბილისის II გიმნაზია (1922), თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1930), მოსკ. უმაღლესი პარტ. სკოლის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1949). მუშაობდა გაზ. „კომუნისტში" რეპორტიორად, პ/მგ მდივნად (1923–42), გაზ. „საბჭოთა აჭარის" რედაქტორად (1942–49). იყო „მთავლიტის" უფროსი (1950), საქართვ. რადიოკომიტეტის თავ-რე (1951–56), საქტელერადიოკომიტეტის პირველი თავ-რე (1956–61), თბილისში ვ. ი. ლენინის მუზეუმის დირექტორი (1961–83), ტელევიზიის საფონდო განყ-ბის გამგე (1996- მდე).

კ. რამდენიმე წიგნის ავტორია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

ლიტ.: ანტონ კელენჯერიძე (სერია – ქართული ჟურნალისტიკის მოამაგენი), თბ., 1995.